წესები და პირობები ტურ-ოპერატორებისთვის

1. ტერმინთა განმარტება.

1.1. ხელშეკრულება - ვებ-გვერდზე განთავსებული წინამდებარე პირობები და წესები.

1.2. პლატფორმის ოპერატორი - ი/მ ლაშა ჟღენტი რომელიც ვებ-გვერდის მეშვეობით ქმნის პლატფორმას და მომხმარებლებს უწევს შესაბამის მომსახურებას, რათა ტურ-ოპერატორი და მგზავრი დაუკავშირდნენ ერთმანეთს. პლატფორმის ოპერატორი პირადად არ აქირავებს არც ერთ ავტომობილს და პლატფორმით მომსახურების გარდა არ წევს სხვა დამატებით მომსახურებას, იგი არ წარმოადგენს მგზავრსა და ტურ-ოპერატორს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეს;

1.3. ტურ-ოპერატორი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პლატფორმის ოპერატორის ინტერნეტ ვებ-გვერდის მეშვეობით უკავშირდება მგზავრს და წევს შემდეგ მომსახურებას მგზავრისთვის:

სატრანსპორტო გადაყვანის მომსახურება, და/ან

გიდის მომსახურება, და/ან

სხვა მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია გადაყვანის მომსახურებასთან.

1.4. მგზავრი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის მეშვეობით იღებს სატრანსპორტო მომსახურებას;

1.5. მომხმარებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის ტურ-ოპერატორი და მგზავრი, რომელიც პლატფორმის მეშვეობით სარგებლობს პლატფორმის ოპერატორის მომსახურებით;

1.6. პლატფორმა - ვებ-გვერდი ტურ-ოპერატორებისა და მგზავრებისთვის, რომლის მეშვეობითაც ხდება მგზავრების ტურ-ოპერატორებთან დაკავშირება;

1.7. სატრანსპორტო მომსახურება - ტურ-ოპერატორის მიერ მგზავრის გადაყვანა მგზავრის მიერ განსაზღვრულ დანიშნულების ადგილზე;

1.8. პროფილი - პლატფორმის ოპერატორის მიერ ტურ-ოპერატორისთვის შექმნილი ანგარიში (პროფილი), რომლითაც ტურ-ოპერატორი მომსახურებას უწევს მგზავრებს. ტურ-ოპერატორი შედის პროფილზე იუზერნეიმისა და პაროლის მეშვეობით;

1.9. მომხმარებლის ანგარიში (პროფილი) - პლატფორმაზე მომხმარებლის პერსონალური გვერდი;

1.10. ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად;

1.11. მგზავრობის ღირებულება - მგზავრის მიერ გადასახდელი სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ტურ-ოპერატორის მიერ;

1.12. მომსახურების საკომისიო - პლატფორმის ოპერატორის მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დანართ #1-ით და რომელიც გადაიხდევინება ტურ-ოპერატორის მიერ. ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და თანახმაა, რომ მომსახურების საკომისიო შეიძლება შეიცვალოს პერიოდულად, პლატფორმის ოპერატორის მიერ ცალმხრივად ტურ-ოპერატორის დამატებითი თანხმობის გარეშე;

1.13. კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მხარეებისათვის ცნობილი გახდა პლატფორმის გამოყენებით ან/და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და რომელიც ეხება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და სხვა ნებისმიერ გარიგებებს ან/და შეთანხმებებს, გამომდინარე მხარეთა თანამშრომლობიდან და, ასევე, ინფორმაცია მხარეების (კომპანიების/ფილიალების და ა.შ) საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის, გარიგებების, ტრანზაქციების და სხვა საქმიანი ურთიერთობების შესახებ;

1.14. დაუძლეველი ძალა - წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ; კერძოდ, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათი მხრიდან შეუძლებელია.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. პლატფორმის ოპერატორი პლატფორმის მეშვეობით მომხმარებელს უწევს მომსახურებას, რათა მან ისარგებლოს შეთავაზებული სერვისებით. პლატფორმის

ოპერატორის არის შუამავალი, რომელიც ეხმარება ტურ-ოპერატორსა და მგზავრს დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

2.2. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

2.3. პლატფორმის ოპერატორს არ ეკუთვნის პლატფორმის მეშვეობით ტურ-ოპერატორის მიერ წარმოდგენილი არცერთი ავტომანქანა და არ ფლობს არანაირ დამატებით ინფორმაციას მათი რეალური მდგომარეობის შესახებ.

2.4. ტურ-ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ავტომობილების ხარისხი, უსაფრთხოება, და კანონიერება არ კონტროლდება პლატფორმის ოპერატორის მიერ.

2.5. პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება მომხმარებლის კონტაქტის დამყარებას სხვა მომხმარებელთან.

2.6. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი პლატფორმაზე პირად ინფორმაციას ათავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

2.7. პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებისას ტურ-ოპერატორის ეთანხმება, რომ მის შესახებ ინფორმაცია იქნება ღია და მგზავრს შეეძლება მისი ნახვა, მათ შორის პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია სხვა მომხმარებელს და ნებისმიერ მესამე პირს მიაწოდოს პირადი ინფორმაცია.

2.8. ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და თანახმაა, რომ იგია იმ რისკის მატარებელი, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელებასთან.

2.9. პლატფორმაზე განთავსებულ სხვა მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას არ აქვს იურიდიული ძალა, მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერი ფინანსური გარიგების წინ გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე.

2.10. მომხმარებლისთვის ცნობილია და იგი აცხადებს თანხმობას, რომ პლატფორმის ოპერატორს აქვს შეუზღუდავი წვდომის უფლება მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაციაზე და პლატფორმის მეშვეობით (მათ შორის მობილური აპლიკაციის მეშვეობით) განხორციელებულ პირად მიმოწერაზე.

3. პროფილის შექმნა და გააქტიურება

3.1. პლატფორმის ოპერატორი უქმნის პლატფორმის სარგებლობისათვის ტურ-ოპერატორს პროფილს.

3.2. პირველ ეტაპზე ტურ-ოპერატორი აწვდის პლატფორმის ოპერატორს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, საცხოვრებელი ქალაქი, ავტომობილის გამოშვების წელი, ავტომობილის კატეგორია, ტელეფონის ნომერი და ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც განთავსებული იქნება პირველად ფორმაში.

3.3. ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ტურ-ოპერატორს უკავშირდება პლატფორმის ოპერატორის თანამშრომელი და ატარებს მასთან გასაუბრებას.

3.4. გასაუბრების გავლის შემდეგ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ტურ-ოპერატორს უტარდება შესაბამისი ტრენინგი.

3.5. ტრენინგის წარმატების გავლის შემთხვევაში, ტურ-ოპერატორი ავსებს საბოლოო ფორმას და აწვდის პლატფორმის ოპერატორს პირად მონაცემებსა და ავტომობილის შესახებ ინფორმაციას, რომელიც დეტალურად არის განსაზღვრული საბოლოო ფორმაში.

3.6. ტურ-ოპერატორის მიერ საბოლოო ფორმაში შეტანილი მონაცემების გადამოწმების შემდეგ ხდება მისი პროფილის შექმნა და ავტომობილის განთავსება ვებ-გვერდზე.

3.7. პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთების გარეშე უთხრას უარი ტურ-ოპერატორს პროფილის გახსნაზე.

3.8. პროფილის გასააქტიურებლად საჭიროა შემდეგი პროცედურების გავლა:

3.8.1. ტურ-ოპერატორი უთითებს სწორ საკუთარ ან მესამე პირის საბანკო ანგარიშს, რომელზეც განხორციელდება ანგარიშსწორება. ტურ-ოპერატორის ანგარიშიდან ხდება პლატფორმის ოპერატორის მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა (მათ შორის ტურ-ოპერატორის მიერ მითითებულ მესამე პირის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის განხორციელებითაც). თავის მხრივ, პლატფორმის ოპერატორი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ტურ-ოპერატორის მიერ განთავსებულ დეპოზიტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის წინაშე არსებულები ვალდებულებების გამოკლებით ურიცხავს ტურ-ოპერატორის საბანკო ანგარიშზე (მათ შორის ტურ-ოპერატორის მიერ მითითებულ მესამე პირის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის განხორციელებითაც). პლატფორმის ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი არასწორი საბანკო ანგარიშის მითითების გამო დამდგარ ზიანზე;

3.8.2. ტურ-ოპერატორი პლატფორმაზე რეგისტრაციისას ეცნობა და ეთანხმება პროფილის გამოყენების წინამდებარე წესებს.

3.9. პროფილის რეგისტრაციის შემდეგ ტურ-ოპერატორს შეიძლება მოეთხოვოს ცნობა ნასამართლეობის შესახებ, მოქმედი მართვის მოწმობა, ავტომობილის დამაკმაყოფილებელი ტექ-დათვალიერების სერთიფიკატი, GPS-ის მხარდაჭერის მქონე მობილური მოწყობილობის ქონა და სხვა პირობები და დოკუმენტაცია. თუ ტურ-ოპერატორის მიერ არ იქნება მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად წარმოდგენილი პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ტურ-ოპერატორთან ხელშეკრულება ან/და შეუზღუდოს პლატფორმის სარგებლობის უფლება.

3.10. პროფილის გააქტიურების შემდეგ ტურ-ოპერატორი და მგზავრი შეძლებენ დისტანციურად ორმხრივი ურთიერთობის დამყარებას და ინფორმაციის გაცვლას. პროფილზე განხორციელებულ ქმედებებს მხარეებისთვის იურიდიულად სავალდებულო ხასიათი აქვს.

3.11. ტურ-ოპერატორი 5 შეკვეთის განხორციელების შემდეგ ვალდებულია პლატფორმის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე განათავსოს დეპოზიტი 100 ლარის ოდენობით. დეპოზიტის განთავსების მიზანია პლატფორმის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიოს ღირებულების ანაზღაურებისა და ტურ-ოპერატორისთვის დაკისრებული სანქციის აღსრულების უზრუნველყოფა.

3.12. ტურ-ოპერატორთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ტურ-ოპერატორს უბრუნდება გამოუყენებელი დეპოზიტი სრულად.

3.13. პლატფორმის ოპერატორის მიერ შეიძლება განსაზღვრული დეპოზიტის გაზრდილი ოდენობით განთავსების ვალდებულება.

3.14. პროფილის საშუალებით გაკეთებული ყველა სახის მოთხოვნა, თანხმობა, შეტყობინება, ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა, სავალდებულო და იურიდიული ძალის მქონე იქნება და გაუთანაბრდება წერილობით ფორმას.

3.15. პროფილის უკანონო და არამართლზომიერი გამოყენებისთვის ტურ-ოპერატორი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.16. ტურ-ოპერატორი პროფილის რეგისტრაციისას წინამდებარე წესების დადასტურებით აცხადებს, რომ:

3.16.1. თანახმაა მხარეთა შორის დისტანციური ურთიერთობა და ინფორმაციის მიმოცვლა განხორციელდეს პროფილის საშუალებით;

3.16.2. მისთვის გასაგები და მისაღებია პროფილის გამოყენების წესები;

3.16.3. სრული ქმედუნარიანია და შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

3.16.4. არ იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური ან სხვა მომწამვლელი ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ და არ გამოიყენებს პროფილს ამგვარ მდგომარეობაში;

3.16.5. არ გამოიყენებს პროფილს არაკანონიერი მიზნებისათვის, მათ შორის თაღლითობისა და ფულის გათეთრებისთვის;

3.16.6. პროფილის გამოყენებისას მითითებული აქვს და მიუთითებს მხოლოდ ნამდვილ ინფორმაციას;

3.16.7. ელექტრონული კომუნიკაციისას გამოიყენებს მხოლოდ უსაფრთხო საშუალებებსა და მოწყობილობებს.

3.17. ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მესამე მხარეს, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება ტურ-ოპერატორის პროფილის გამოყენება, ვიდრე პლატფორმის ოპერატორს ეცნობება აღნიშნულის შესახებ და მიეცემა გონივრული ვადა პროფილის დასაბლოკად, ექნება პროფილზე წვდომა და ტურ-ოპერატორის სახელით შეძლებს ვალდებულებების აღებას. თუ პლატფორმაზე მოქმედებების განხორციელება ხდება ტურ-ოპერატორის პროფილის გამოყენებით, ჩაითვლება, რომ შესაბამის პროფილზე მოქმედებებს ახორციელებს თავად ტურ-ოპერატორი და სწორედ ის კისრულობს ვალდებულებებს მგზავრის ან/და პლატფორმის ოპერატორის წინაშე.

3.18. ტურ-ოპერატორი ვალდებულია მუდმივად განაახლოს მის პროფილზე არსებული ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მგზავრის, ასევე, პლატფორმის ოპერატორის წინაშე, არასწორი ინფორმაციით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სრულად დაეკისრება ტურ-ოპერატორს.

3.19. პროფილზე ტურ-ოპერატორის მიერ განთავსებული ინფორმაცია არ უნდა:

3.19.1. იყოს მცდარი, არაზუსტი, არასრული და არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში მომხმარებელი;

3.19.2. ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს, ან ნდობით ბოროტად სარგებლობას;

3.19.3. შეიცავდეს ინფორმაციას მოპარული ან ტურ-ოპერატორის უკანონო მფლობელობაში არსებული ავტომობილის გამოყენების შესახებ;

3.19.4. ეხებოდეს მესამე პირის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას სათანადო ნებართვის გარეშე, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის პირად უფლებებს;

3.19.5. შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას;

3.19.6. შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა ან ნებისმიერი სხვა ფორმით, მათ შორის არაპირდაპირ დისკრიმინაციას;

3.19.7. შეიცავდეს მუქარას ვინმეს მიმართ;

3.19.8. მოუწოდებდეს ვინმეს დანაშაულებრივი ქმედებისაკენ;

3.19.9. უწევდეს მხარდაჭერას, ან პროვოცირებდეს ტერორისტულ და ექსტრემისტულ ქმედებებს;

3.19.10. შეიცავდეს პორნოგრაფიულ შინაარსს;

3.19.11. შეიცავდეს სარეკლამო ინფორმაციას განცხადების ობიექტისგან განსხვავებული ქონების, ნივთისა თუ მომსახურების, ან კომპანიის შესახებ;

3.19.12. არღვევდეს რაიმე სხვა გზით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

3.20. ტურ-ოპერატორი არ არის უფლებამოსილი:

3.20.1. მოახდინოს პროგრამის დეკომპილაცია, საინჟინრო ანალიზი, ან სხვაგვარად შეეცადოს მოიპოვოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის, ტურ-ოპერატორის პროფილის, ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის კოდი;

3.20.2. შეცვალოს პლატფორმის ოპერატორის ვებ-გვერდი ან პროფილი ნებისმიერი სახით თუ ფორმით ან ისარგებლოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის ან პროფილის შეცვლილი ვერსიებით;

3.20.3. გადააგზავნოს ფაილები, რომლებიც შეიცავს ვირუსებს, დაზიანებული ფაილები, ან სხვა პროგრამები, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ან უარყოფითად იმოქმედოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმაზე;

3.20.4. სცადოს, მოიპოვოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის, პროფილის ან პლატფორმის ოპერატორის სხვა მომსახურებაზე არასანქცირებული წვდომა.

3.21. ყველა საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშნები, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის კოდი, მონაცემთა ბაზა, ლოგოებისა და ვიზუალური დიზაინის ჩათვლით, ეკუთვნის პლატფორმის ოპერატორს და დაცულია საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნების და სავაჭრო საიდუმლოს დაცვის შესახებ კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებით. პლატფორმის ოპერატორის პლატფორმის, ან პლატფორმის ოპერატორის სხვა მომსახურებების გამოყენებით ტურ-ოპერატორი არ იძენს საკუთრების უფლებას პლატფორმის ოპერატორის ნებისმიერ ინტელექტუალურ საკუთრებაზე.

4.სატრანსპორტო მომსახურების გაწევა

4.1. ტურ-ოპერატორი და მგზავრი უფლებამოსილი არიან მათ შორის მომსახურების ხელშეკრულება დადონ მათთვის მისაღები ნებისმიერ პირობით, რომელზეც პასუხისმგებლობას არ იღებს პლატფორმის ოპერატორი. ისინი თვითონ განსაზღვრავენ მომსახურების ფასს, დამატებით სერვისებსა და მომსახურებებს, რომელთა ღირებულებაც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

4.2. ტურ-ოპერატორმა სატრანსპორტო მომსახურება უნდა გაწიოს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. იგი სრულად არის პასუხისმგებელი ასეთი კანონმდებლობისა და რეგულაციების ნებისმიერ დარღვევაზე.

4.3. ტურ-ოპერატორი ვალდებულია ჯავშნის გაკეთებიდან დაუყოვნებლივ დაადასტუროს ან უარყოს ჯავშანი. თუ ტურ-ოპერატორი არავითარ მოქმედებას არ განახორციელებს, დრაივერ მენეჯერი უკავშირდება ტურ-ოპერატორს და აზუსტებს ჯავშნის მიღების საკითხს. თუ ვერ ხერხდება ტურ-ოპერატორთან დაკავშირება მიიჩნევა, რომ მან უარყო მგზავრის მიერ გაკეთებული ჯავშანი და მგზავრს მიუვა შეტყობინება მეილზე.

4.4. ტურ-ოპერატორი ვალდებულია სატრანსპორტო მომსახურების გაწევის დაწყებამდე ფლობდეს ყველა ლიცენზიას (მათ შორის მოქმედ მართვის მოწმობას), ნებართვას, ავტომობილისა და პასუხისმგებლობის დაზღვევას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეგისტრაციო ცნობებს, სერტიფიკატს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებისათვის. ტურ-ოპერატორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის

მოქმედების ვადა იყოს ძალაში. პლატფორმის ოპერატორი უფლებას იტოვებს მოითხოვოს ტურ-ოპერატორისგან მტკიცებულებების წარმოდგენა და ყველა აუცილებელი ლიცენზიის, ნებართვის, თანხმობის, ავტორიზაციის, რეგისტრაციის და სერტიფიკატის განსახილველად წარდგენა და ასევე მათი განახლება.

4.5. ტურ-ოპერატორი უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას პროფესიულად სატრანსპორტო მომსახურებისთვის მოქმედი ეთიკური ნორმების შესაბამისად.

4.6. ტურ-ოპერატორი ვალდებულია შეასრულოს მგზავრის მოთხოვნა მგზავრის ინტერესებიდან გამომდინარე.

4.7. ტურ-ოპერატორს არ აქვს უფლება უნებართვო გაჩერებაზე (გარდა საწვავის ჩასხმისა და მგზავრის მოთხოვნისა), ტურ-ოპერატორს ეკრძალება სხვა მგზავრის წაყვანა ავტომანქანით, გარდა მომხმარებლისა და მისი თანმხლები პირებისა და იგი ვალდებულია, დაიცვას მოქმედი საგზაო წესების აქტები და რეგულაციები, ანუ არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ავტომანქანის მართვა ან საგზაო მოძრაობის პირობების აღქმა, მათ შორის, გადაადგილების დროს ხელში არ უნდა ეჭიროს ტელეფონი ან სხვა მოწყობილობა.

4.8. ტურ-ოპერატორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს როდის და რა დროის მანძილზე გასწევს სატრანსპორტო მომსახურებას. ტურ-ოპერატორი თვითონ წყვეტს რომელ დღეების განმავლობაში მიიღოს მგზავრების შეკვეთები.

4.9. ტურ-ოპერატორი თავად გასწევს შესაბამის ხარჯს და უზრუნველყოფს იმ აღჭურვილობას, რომელიც საჭიროა ტრანსპორტირების მომსახურების გასაწევად, მათ შორის ავტომობილი, სმარტ მოწყობილობა, ინტერნეტის მოწოდება და სხვ. ასევე ტურ-ოპერატორი პასუხისმგებელია იმ ხარჯებზე, რომელსაც ტრანსპორტირების მომსახურების განხორციელებას სჭირდება, მათ შორის და არა მხოლოდ, საწვავი, მობილური ინტერნეტი, სატელეფონო მომსახურების გადასახადები, ავტომობილის ამორტიზაცია, დაზღვევა, შესაბამისი სახელმწიფო გადასახადები და სხვ.

4.10. ტურ-ოპერატორი უფლებამოსილია მგზავრს გადაახდევინოს შეთანხმებულ მგზავრობის ღირებულებაზე მცირე ოდენობის თანხა ან საერთოდ გაათავისუფლოს გადახდის ვალდებულებისგან, რაც არ ამცირებს მომსახურების საკომისიოს ღირებულებას.

4.11. პლატფორმის ოპერატორი იტოვებს უფლებას დააკორექტიროს კონკრეტული შესრულებული შეკვეთის ღირებულება, თუ გამოვლინდება დარღვევა (როგორიცაა მგზავრის გრძელი მარშრუტით წაყვანა) ან ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აისახა მგზავრობის საბოლოო ფასზე. პლატფორმის ოპერატორი ასევე იტოვებს უფლებას

გააუქმოს ან შეამციროს მგზავრობის ღირებულება იმ შემთხვევაში თუ არსებობს თაღლითობის საფუძვლიანი ეჭვი ან მგზავრის მითითება ტურ-ოპერატორის მიერ წესების დარღვევის შესახებ.

4.12. მგზავრის მიერ მგზავრობის ღირებულების გადახდა ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. თუ მგზავრი უარს აცხადებს მგზავრობის ღირებულების გადახდაზე ან მგზავრმა ტურ-ოპერატორს მიაყენა რაიმე სახის ზიანი, პლატფორმის ოპერატორი ტურ-ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში ტურ-ოპერატორის სახელით ელექტრონულად გაუგზავნის შეტყობინებას მგზავრს დავალიანების შესახებ, მაგრამ პლატფორმის ოპერატორი არ იღებს არავითარ ვალდებულებას, მგზავრის მიერ მგზავრობის ღირებულების გადახდაზე ან/და ნებისმიერ სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე.

4.13. ტურ-ოპერატორსა და მგზავრს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია მაგრამ არაა ვალდებული განიხილოს მათი პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ და საკუთარი შეხედულებით მიიღოს გადაწყვეტილება თუ რომელი პრეტენზია უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ აქვს იურიდიული ძალა და პლატფორმის ოპერატორი არ იღებს არავითარ ვალდებულებას მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე. გადაწყვეტილება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

4.14. თუ პლატფორმის ოპერატორი მიიჩნევს, რომ მგზავრის პრეტენზია დასაკმაყოფილებელია, იგი უფლებამოსილია მაგრამ არაა ვალდებული მგზავრს დაუბრონოს მის მიერ გადახდილი თანხა, თუ ტურ-ოპერატორის დეპოზიტზე იქნება შესაბამისი ოდენობის თანხა. თუ ტურ-ოპერატორი არ დაეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, იგი უფლებამოსილია საკუთარის უფლებების დასაცავად მიმართოს კანონით გათვალისწინებულ გზას მგზავრის წინააღმდეგ. ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და თანახმაა, რომ პლატფორმის ოპერატორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ მგზავრი და მას არ შეუძლია რაიმე სახის პრეტენზია წაუყენოს თავად პლატფორმის ოპერატორს.

4.15. ტურ-ოპერატორი ვალდებულია თავად შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება. პლატფორმის ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას ტურ-ოპერატოის საგადასახადო ვალდებულებებზე.

4.16. ტურ-ოპერატორის მიერ გამომუშავებული ის თანხა, რომელიც მგზავრმა გადაიხადა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ტურ-ოპერატორს საკუთარ ანგარიშზე დაერიცხება მგზავრის მიერ გადახდის განხორციელებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში პლატფორმის ოპერატორის წინაშე არსებული დავალიანების, მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული სატრანსპორტო მომსახურების თანხის მომსახურების საკომისიოს გამოკლებით.

5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია:

5.1.1. დაბლოკოს, წაშალოს ან არ შექმნას პროფილი თუ ტურ-ოპერატორი არღვევს წინამდებარე პირობას/პირობებს ან არსებობს ეჭვი, რომ დაირღვა ან დაირღვევა რომელიმე პირობა, რომლის შესახებ შეტყობინება ეგზავნება მომხმარებელს;

5.1.2. თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პირობები და სერვისები;

5.1.3. მაგრამ არაა ვალდებული თავისი შეხედულებისამებრ დამოუკიდებლად ან მესამე პირის მეშვეობით გადაამოწმოს ტურ-ოპერატორის მიერ განთავსებული ინფორმაციის სიზუსტე, ხოლო არასწორი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

5.1.4. მაგრამ არაა ვალდებული ნებისმიერი საჯარო ან კერძო დაწესებულებიდან თუ ფიზიკური პირიდან გამოითხოვოს ან/და გადაამოწმოს ტურ-ოპერატორის შესახებ ინფორმაცია, რაზეც ტურ-ოპერატორი აცხადებს თანხმობას და პლატფორმის ოპერატორს აძლევს სრულ უფლებას გამოითხოვოს, გადაამოწმოს ან/და მიიღოს მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია;

5.1.5. ხელშეკრულების მხარეს, დაზარალებულს, საგამოძიებო ორგანოებს, პროკურატურას, სასამართლოს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია ტურ-ოპერატორის შესახებ მისი დამატებითი თანხმობის/ნებართვის გარეშე;

5.1.6. გამოიყენოს მომხმარებლის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია პლატფორმის ოპერატორის მიერ სასამართლო დავისას ან ადმინისტრაციული წარმოებისას მომხმარებლის თანხმობის/ნებართვის გარეშე;

5.1.7. შეინახოს, წაშალოს, დააარქივოს ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოიყენოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;

5.1.8. გამოიყენოს ნებისმიერი კანონიერი გზა მომხმარებლისგან მომსახურების საფასურის მისაღებად;

5.1.9. დაამუშავოს ტურ-ოპერატორის მიერ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია;

5.1.10. მიაწოდოს სასამართლოს, პროკურატურას, გამოძიების ორგანოებს ან/და საჯარო დაწესებულებებს ტურ-ოპერატორის მიერ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

5.1.11. განახორციელოს ტურ-ოპერატორის პროფილის მონიტორინგი;

5.1.12. საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

5.2. პლატფორმის ოპერატორი ვალდებულია:

5.2.1. განახორციელოს მომსახურება დროულად და ჯეროვნად;

5.2.2. არ დაარღვიოს მომხმარებლის უფლებები;

5.2.3. არ განახორციელოს დისკრიმინაციული ქმედება;

5.2.4. არ განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა ან/და პლატფორმა არ იქნეს გამოყენებული დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ან ასეთი საქმიანობის დასაფინანსებლად.

5.3. ტურ-ოპერატორი უფლებამოსილია:

5.3.1. შესაბამისი წინაპირობების არსებობისას განაცხადოს პრეტენზია მგზავრის მიერ განხორციელებული ქმედების გამო;

5.3.2. საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

5.4. ტურ-ოპერატორი ვალდებულია:

5.4.1. გამოიყენოს საკუთარი პროფილი წინამდებარე ხელშეკრულებებისა და ქართული კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;

5.4.2. მიაწოდოს მხარეებს სრული და ზუსტი ინფორმაცია როგორც საკუთარ თავზე, ისე ავტომობილის სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ;

5.4.3. ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

5.4.4. ავტომობილი ჰყავდეს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, მათ შორის ჰქონდეს ზამთრის საბურავები და აღჭურვილობა შესაბამის სეზონზე;

5.4.5. ქართული კანონმდებლობის მიხედვით ავტომობილს გავლილი ჰქონდეს სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება;

5.4.6. ავტომობილი ჰყავდეს სუფთა მდგომარეობაში და დაცული იყოს ჰიგიენის წესები;

5.4.7. მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა შეცვალოს საკუთარ პროფილზე განთავსებული ინფორმაცია;

5.4.8. არ გადასცეს მესამე პირს ნებისმიერ ინფორმაცია მისი ანგარიშის შესახებ, მათ შორის ანგარიშის პაროლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ უარყოფით შედეგზე პასუხისმგებელია თავად ტურ-ოპერატორი;

5.4.9. ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის მიერ მის ანგარიშზე შესვლის ან ანგარიშის მეშვეობით ქმედების განხორციელების შესახებ დაუყონებლივ მიაწოდოს ინფორმაცია პლატფორმის ოპერატორს;

5.4.10. არ მიაყენოს მხარეს შეურაცხყოფა ან/და არ დასწამოს ცილი უსაფუძვლოდ, არ დაემუქროს, არ დააშანტაჟოს ხელშეკრულების მეორე მხარე;

5.4.11. ავტომობილი არ მართოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული თრობის ან ზემოქმედების ქვეშ;

5.4.12. არ მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბუქსირება, როდესაც ავტომობილში მგზავრია;

5.4.13. ავტომობილში არ მოწიოს სიგარეტი, სიგარა, სიგარელა, ჩიბუხი, ჩილიმი, ელექტრონული სიგარეტი ან სხვა მსგავსი მოწყობილობა;

5.4.14. ავტომობილი იქონიოს გარეცხილ მდგომარეობაში;

5.4.15. არ გამოავლინოს დისკრიმინაციული დამოკიდებულება სხვა მომხმარებლის მიმართ;

5.4.16. დაიცვას მომხმარებელთა და მესამე პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები;

5.4.17. შესაბამისი თანხმობის გარეშე არ შეაგროვოს, შეინახოს, დაამუშავოს ან/და გაავრცელოს ნებისმიერ პირის პერსონალური მონაცემი, თუნდაც ის ღია სახით იყოს განთავსებული ვებ-გვერდზე;

5.4.18. არ დაუკავშირდეს მგზავრს სატრანსპორტო მომსახურებისგან განსხვავებული ნებისმიერი მიზნით;

5.4.19. არ გამოიყენოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმა სხვა მიზნით, რაც წინამდებარე ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული;

5.4.20. არ განახორციელოს პლატფორმის ოპერატორის პლატფორმაზე ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის ნორმალურ ფუნქციონირებას, შეაფერხებს ან გადატვირთავს მას ან სხვაგვარად შეუშლის ხელს პლატფორმის ოპერატორს განახორციელოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება;

5.4.21. არ შევიდეს სხვა მომხმარებლის ანგარიშზე პლატფორმის წესების გვერდის ავლით ნებისმიერი ფორმით და მიიღოს, დაამუშავოს, შეინახოს ან/და გაამჟღავნოს სხვა მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია;

5.4.22. საკუთარი ანგარიში არ გამოიყენოს დანაშაულებრივი საქმიანობისთვის;

5.4.23. არ განახორციელოს ქართული კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობა.

6.რეიტინგი და აქტივობა

6.1. მაღალხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მგზავრებს შეუძლიათ შეაფასონ და დატოვონ კომენტარი მის მიერ განხორციელებულ სატრანსპორტო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. ტურ-ოპერატორის საშუალო რეიტინგი დაკავშირებული იქნება ტურ-ოპერატორის ანგარიშთან და ხელმისაწვდომი იქნება მგზავრებისათვის. თუ პლატფორმის ოპერატორი საკუთარი შეხედულებისამებრ ჩათვლის, რომ შეფასება ან კომენტარი არის არაკეთილსინდისიერადაა გაკეთებული, პლატფორმის ოპერატორს შეუძლია მისი უგულვებელყოფა.

6.2. გარდა რეიტინგისა, პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია გაანალიზოს ტურ-ოპერატორის საქმიანობის დონე და მიანიჭოს ქულა აქტივობისთვის, რომელიც ეფუძნება ტურ-ოპერატორის საქმიანობას სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთების მიღებასთან, უარყოფასთან, რეაგირებასა და შესრულებასთან დაკავშირებით.

6.3. პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია განსაზღვროს მინიმალური საშუალო რეიტინგი და მინიმალური აქტივობის ქულა, რომელიც ყველა ტურ-ოპერატორმა უნდა გაითვალისწინოს და შეინარჩუნოს. თუ პლატფორმის ოპერატორის მხრიდან შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ტურ-ოპერატორი ვერ გაზრდის მის საშუალო რეიტინგს ან აქტივობის ქულას მინიმალურზე მეტად, დადგენილ ვადაში, პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ტურ-ოპერატორთან წინამდებარე ხელშეკრულება ან/და ტურ-ოპერატორის ანგარიში შეაჩეროს დროებით ან მუდმივად.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. პლატფორმის ოპერატორი არ არის არც ერთი მომხმარებლებს შორის არსებული შეთანხმების თანამონაწილე და არ არის პასუხისმგებელი არც ერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება დგება უშუალოდ მომხმარებლებს შორის.

7.2. პლატფორმის ოპერატორი არ აგებს პასუხს პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.

7.3. პლატფორმის ოპერატორი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომხმარებლის შესახებ მოცემული მონაცემები დაემთხვევა მის რეალურ მონაცემებს.

7.4. პლატფორმის ოპერატორი არ აგებს პასუხს პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასევე შეტყობინების დაკარგვაზე.

7.5. პლატფორმის ოპერატორი არ იძლევა გარანტიას პლატფორმის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე.

7.6. პლატფორმის ოპერატორი არ აგებს პასუხს მომხმარებლის ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მათ შორის თუ ხდება ანგარიშის გამოყენება არაუფლებამოსილი პირის მიერ.

7.9. ტურ-ოპერატორი პასუხისმგებელია პლატფორმაზე მის მიერ განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე.

7.10. ტურ-ოპერატორი პასუხისმგებელია ყველა იმ უარყოფით შედეგზე, რაც გამოწვეულია მის მიერ საკუთარი ანგარიშის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდების გამო.

7.11. ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის მიერ მის ანგარიშზე შესვლის ან ანგარიშის მეშვეობით ქმედების განხორციელების შესახებ პლატფორმის

ოპერატორისთვის დაუყონებლივ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ტურ-ოპერატორი სრულადაა პასუხისმგებელი დამდგარი ზიანის გამო.

7.12. ტურ-ოპერატორი პასუხისმგებელია მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

7.13. დაუშვებელია ტურ-ოპერატორის მიერ შეკვეთის შესრულება ნებისმიერი სხვა პირის მეშვეობით. შეკვეთის მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, ტურ-ოპერატოს დაეკისრება ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

7.14. ტურ-ოპერატორს ეკისრება ჯარიმის გადახდის ვალდებულება შემდეგი სახითა და ოდენობით:

7.15.1. 150 ლარი - ვებ-გვერდის გარეთ მგზავრსა და ტურ-ოპერატორს შორის ურთიერთობის დამყარებისას პლატფორმის ოპერატორის მიერ დაწესებული მომსახურების საკომისიოს გადახდისგან თავის არიდების ან საკომისიოს შემცირების მიზნით;

7.15.2. 100 ლარი - ტურ-ოპერატორის მიერ წარდგენილი ავტომობილის დოკუმენტების სიყალბის ან/და ქართულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში;

7.15.3. 100 ლარი - ვებ-გვერდზე ავტომობილის მონაცემების (გამოშვების წელი, კილომეტრაჟი, ძრავის მოცულობა და სხვ.) არასწორად განთავსების შემთხვევაში;

7.15.4. 150 ლარი - ტურ-ოპერატორის მიერ ავტომობილის დაუსუფთავებელ მდგომაროებაში ყოფნის შემთხვევაში.

8. კონფიდენციალურობის პოლიტიკა

8.1. პლატფორმის ოპერატორი აგროვებს და ამუშავებს ტურ-ოპერატორის პირად მონაცემებს მათთვის პროფესიული საქმიანობის ეფექტურად გაწევის, ხელშეკრულების შესრულებისა და მარკეტინგული (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგული) მიზნით.

8.2. ნასამართლობის და დანაშაულის შესახებ შეგროვება და დამუშავება ხდება ტურ-ოპერატორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების რისკის დასადგენად.

8.3. მომხმარებლებზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველსაყოფად საჯაროდ ვრცელდება ინფორმაცია ტურ-ოპერატორის რეიტინგის შესახებ.

8.4. ტურ-ოპერატორის პირადი ინფორმაციის დამუშავების ერთ-ერთი მიზანია დადგინდეს მისი შესაბამისი კვალიფიკაცია და საქმიანობასთან შესაბამისობა.

8.5. იდენტიფიკაციისთვის პლატფორმის მეშვეობით ვრცელდება ტურ-ოპერატორის შემდეგი ინფორმაცია: ფოტოსურათი, სახელი, ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი, ავტომობილის ფერი.

8.6. ტურ-ოპერატორის მდებარეობა (გეოლოკაცია) ხელმისაწვდომია მესამე პირისთვის, რაც ტურ-ოპერატორისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას. იმისათვის, რომ ტურ-ოპერატორის მდებარეობის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდოს მესამე პირს, საჭიროა პლატფორმიდან გამოსვლა.

8.7. პლატფორმის ოპერატორი ამუშავებს შემდეგ პერსონალურ მონაცემებს:

8.7.1. სახელი და გვარი; 8.7.2. პირადი ნომერი;

8.7.3. ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი;

8.7.4. ტელეფონის ნომერი;

8.7.5. ელ. ფოსტა;

8.7.6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

8.7.7. მართვის მოწმობა;

8.7.8. ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობა;

8.7.9. დაზღვევის პოლისი;

8.7.10. ინფორმაცია ნასამართლობასთან დაკავშირებით;

8.7.11. ფოტო სურათი;

8.7.12. პროფესია;

8.7.13. მდებარეობა და გადაადგილების მარშრუტი;

8.7.14. ტრანსპორტის მონაცემები, მათ შორის და არა მარტო: ავტომობილის სარეგისტრაციო ნომერი, ავტომობილის ფერი;

8.7.15. ფინანსური მონაცემები;

8.7.16. პროფესიული შედეგები და რეიტინგები;

8.7.17. ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი, რომელსაც განსაზღვრავს პლატფორმის ოპერატორი.

8.8. ტურ-ოპერატორი აცნობიერებს და იძლევა თანხმობას პლატფორმის ოპერატორმა შეაგროვოს, დაამუშავოს და გამოიყენოს მისი პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან სხვა ნებისმიერი მიზნით.

8.9. წინამდებარე შეთანხმების 8.7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა პლატფორმის ოპერატორისთვის. ტურ-ოპერატორის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან ტურ-ოპერატორს შეუზღუდოს პლატფორმით სარგებლობის უფლება.

8.10. ტურ-ოპერატორი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს არასწორი ინფორმაციის გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

8.11. პლატფორმის ოპერატორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ინახება (მივუთითოთ სად ვინახავთ - ამაზონ და სხვა) სად არის განთავსებული ტერიტორიულად. აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომლის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ტურ-ოპერატორს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

8.12. ტურ-ოპერატორს ეკრძალება მგზავრების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის შენახვა და დამუშავება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის გარდა სხვა ნებისმიერი მიზნით. მომსახურების დასრულების შემდეგ ტურ-ოპერატორი ვალდებულია წაშალოს მგზავრის შესახებ მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.

8.13. ტურ-ოპერატორი ვალდებულია დაემორჩილოს მგზავრთა კონფიდენციალურობის პოლიტიკას, წინააღმდეგ შემთხვევაში პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8.14. ტურ-ოპერატორის პერსონალური მონაცემები ინახება ტურ-ოპერატორის აქტიური ანგარიშის არსებობის პერიოდში და მისი დახურვიდან მომდევნო 10 წლის ვადით.

8.15. სასამართლო ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, მონაცემები შენახული იქნება დავის დაკმაყოფილებამდე ან დავის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე.

8.16. მომხმარებლები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს და აღნიშნული მუხლით დაცული ინფორმაციის მესამე პირებზე განდობა დაიშვება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებების მოთხოვნების, მხარეთა მიერ საკანონმდებლო ან სასამართლო მოთხოვნების შესრულებისა და საკუთარი სამართლებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

8.17. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და დებულებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარეთა მხოლოდ იმ წარმომადგენელთათვის, რომელთაც უშუალოდ შეხება აქვთ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან.

8.18. ამ ხელშეკრულების დათქმული კონფიდენციალურობის ვალდებულება ძალაშია უვადოდ.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან არსებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისთვის იმ შემთხვევაში, თუ სათანადო შესრულება აღმოჩნდა შეუძლებელი გადაულახავი ძალის გამო, ანუ საგანგებო და გადაულახავი გარემოებების გამო. ასეთ გარემოებებს არ მიეკუთვნება მხარეთა კონტრაჰენტების მიერ მოვალეობების დარღვევა, ბაზარზე საქონელზე მოთხოვნილების არარსებობა, საჭირო ფულადი სახსრების არარსებობა მხარეებში.

9.2. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით, ზემოხსენებული გარემოებების შესახებ 24 საათის განმავლობაში მათი დადგომიდან.

9.3. შეტყობინება უნდა შეიცავდეს გარემოებებს, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებს, რაც დაადასტურებს ასეთი გარემოებების არსებობას. თუ მხარე არ გაგზავნის ან არადროულად გაგზავნის ზემოხსენებულ შეტყობინებას, მაშინ ის ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიღებული ზარალი. გადაულახავი ძალის არსებობა და

ხანგრძლივობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული აქტით ან სხვა დოკუმენტით.

9.4. შეუტყობინებლობის და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

9.5. თუ დამდგარი გარემოება გრძელდება 3 (სამ) კალენდარულ დღეზე მეტი, მხარეები ატარებენ დამატებით მოლაპარაკებებს არსებული ხელშეკრულების შესრულების მისაღები ალტერნატიული მეთოდების შესათანხმებლად ან იღებენ გადაწყვეტილებას არსებული ხელშეკრულების დროზე ადრე შესაწყვეტად. არსებული ხელშეკრულების ამ მუხლის საფუძველზე დროზე ადრე მოშლის შემთხვევაში, მხარეებმა უნდა განახორციელონ ორმხრივი გაანგარიშება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

10.2. პლატფორმის ოპერატორი უფლებამოსილია წაშალოს პროფილი და ცალმხრივად წინასწარი გაფრთხილების გარეშე ტურ-ოპერატორთან შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ ტურ-ოპერატორის მხრიდან ხდება წინამდებარე პირობის/პირობების დარღვევა ან არსებობს ეჭვი, რომ დაირღვა ან დაირღვევა რომელიმე პირობა.

10.3. ტურ-ოპერატორი უფლებამოსილია დახუროს საკუთარი ანგარიში და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების გაკეთებიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ.

10.4. ტურ-ოპერატორს ცალმხრივად მხოლოდ მაშინ შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მას რომელიმე მხარესთან არ აქვს დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულება, ჯარიმა, პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სხვა ფულადი სახის სანქცია.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.დავის გადაწყვეტა

11.1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეთა მიერ შეთანხმების გზით.

11.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ერთანეთს უკავშირდებიან პლატფორმის ან ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, მათ შორის ელ. ფოსტა, ტელეფონი და სხვ. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების ელ. ფოსტაზე გაგზავნიდან ან/და ტურ-ოპერატორის პროფილზე განთავსებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

12.2. მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ ისინი თანახმანი არიან მიიღონ შეტყობინება ელექტრონულად, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი გზით და აიღონ ვალდებულება პლატფორმაზე წინამდებარე პირობებზე დათანხმების გზით.

12.3. მობილურ აპლიკაციით განხორციელებული ქმედება უთანაბრდება ვებ-გვერდით განხორციელებულ ოპერაციას.

12.4. ტურ-ოპერატორი პლატფორმის ოპერატორისგან დამოუკიდებლად იხდის გადასახადებსა და სხვა მოსაკრებლებს და პლატფორმის ოპერატორს არ ეკისრება საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

12.5. წინამდებარე პირობები შედგენილია ქართულ ენაზე.

12.6. წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს წინამდებარე წესების სრულ ბათილობას.

12.7. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება შევიდეს პლატფორმის ოპერატორის მიერ ცალმხრივად. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შემდეგ, განახლებული წესები ეცნობება ტურ-ოპერატორს და გამოჩნდება მათ პროფილში (აპლიკაციაში).

12.8. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ ეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას, იგი უფლებამოსილია დახუროს საკუთარი ანგარიში და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც მომხმარებელი სრულად შეასრულებს პლატფორმის ოპერატორსა და სხვა მომხმარებლის წინაშე არსებულ ვალდებულებებს.

12.9. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ ეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას, მან შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პლატფორმის ოპერატორს უნდა აცნობოს, რომ იგი არ ეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას და წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში, ტურ-ოპერატორს აღარ შეეძლება ისარგებლოს პლატფორმის ოპერატორის მომსახურებით.

12.10. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში არ განაცხადებს პრეტენზიას ან შეტყობინების მიღების შემდეგ ისარგებლებს პლატფორმის ოპერატორის მომსახურებით აღნიშნული გულისხმობს, რომ იგი ეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას.

დანართი #1.

მომსახურების სახე
ღირებულება
საკომისიო (ღირებულების %)
ტურ-ოპერატორის მომსახურება მხარეთა შეთანხმებით 22 %